

სკოლა შპს “პროგრესი 010”

ს კ ო ლ ი ს წ ე ს დ ე ბ ა

I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სკოლის სტატუსი

1. სკოლა შ.პ.ს. “პროგრესი 010” არის საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული და ავტორიზებული სასწავლებელი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2. დასახულ მიზნებს და დაკისრებულ ფუნქციებს სკოლა ახორციელებს სპეციალური უფლება უნარიანობის ფარგლებში. იგი საკუთარი სახელით იძენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს , დებს გარიგებებს და გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

3. სკოლას აქვს ბეჭედი , ანგარიში ბანკში და ლიცენზირებული და ავტორიზებული სასწავლებლისათვის საჭირო ატრიბუტიკა.

მუხლი 2. მიზნები , ფუნქციები და საქმიანობის საგანი

სკოლის მიზანია:

უზრუნველყოს სწავლა – სწავლების, აღზრდისა და განვითარებისათვის ოპტიმალური გარემოს ფორმირება, სადაც მოსწავლე მიიღებს ფუნდამენტურ კომპეტენციებს. მიიღებს ბაზისურ საგნობრივ ცოდნას და შეეძლება მისი პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა სიტუაციაში, ექნება სწრაფვა დამოუკიდებელი და უწყვეტი განათლებისადმი. განივითარებს პასუხისმგებლობას და ტოლელერანტობას. ყოვით სფეროს გამოიყენებს როგორც რეალიზაციის არეალს .

უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. ესგ-ით გათვალისწინებული ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულებების განმტკიცებით, განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება საკუთარი პროფესიული კადრების ინტელექტუალური და ემოციური რესურსებით.

გაითვალისწინოს საბაზო ეკონომიკისა და დამამთავრებელი კურსის მოსწავლეთა ინტერესები.

უზრუნველყოს დადგენილი საატესტატო სტანდარტის წარმატებით დაძლევა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

უზრუნველყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება , საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობის გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

II. სკოლის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. სკოლის სტრუქტურა

სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს , სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს.

შპს “პროგრესი 010” სკოლაში სწავლება სამსაფეხურიანია. სწავლება იწყება სექტემბერში სამინისტროს მიერ დადგენილ დღეს. სწავლება განისაზღვრება 2 სემესტრით. სასწავლო წლის ხანგრძლივობა 36 კვირაა . სკოლა მუშაობს ხუთდღიანი სასწავლო კვირით. გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წთ. (გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი. მეცადინეობა იწყება 9 სთ 30 წთ.

დასვენების დღეები :

- ✓ 14 ოქტომბერი-მცხეთობა;
- ✓ 23 ნოემბერი-გიორგობა;
- ✓ 19 იანვარი-ნათლისღება;
- ✓ 3 მარტი-დედის დღე;
- ✓ 8 მარტი- ქალთა საერთაშორისო დღე;
- ✓ 9 აპრილი- საქ.სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- ✓ 9 მაისი -ფაშიზმზე გამარჯვების დღე
- ✓ 12 მაისი- წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე;
- ✓ 26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

არდადეგები: 2018 წ 29 დეკემბერიდან –2019წ 15 იანვარი / საშობაო არდადეგები/ ; სააღდგომო არდადეგები 2019წ 26 აპრილიდან - 29 აპრილის ჩათვლით ; სასწავლო წელი დამთავრდება და მომავალი სასწავლო წელი დაიწყება ,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კალენდარულ ვადებში.

შვებულებაში წასვლის განრიგს აწესრიგებს დირექცია.

მუხლი 4. სკოლის დირექცია

სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის , ორი მოადგილის (სასწავლო და სააღმზრდელო დარგში) და ბუღალტერიისგან.

მუხლი 5. სკოლის დირექტორი

1. სკოლის დირექტორი:

ა) ახორციელებს სკოლის მართვას;

ბ) წარმოადგენს სკოლას ოფიციალურ პირებთან ურთიერთობებში; ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას;

გ) სკოლის განვითარების სტრატეგიასა და სკოლის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას,

დ) შეიმუშავებს საშტატო განრიგს.

ე) მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის

შემუშავებაში.

ვ) უზრუნველყოფს პედაგოგებთან ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას;
დებს ხელშეკრულებებს სკოლის ტექნიკურ თანამშრომლებთან.

ზ) უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება მასწავლებლებთან ხელშეკრულების პირობების დარღვევის , სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურებისას.

თ) ზედამხედველობს დაწესებულების სასწავლო_სააღმზრდელო პროცესს.

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

2. სკოლის დირექტორი, პერსონალურად აგებს პასუხს:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმის , განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებასა და სააღმზრდელო პროცესზე.

ბ) სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

მუხლი 6. პედაგოგიური საბჭო

1) პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა მმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი.

2) პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი, იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს.

3.) პედაგოგიურ საბჭოში ყველა პედაგოგი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით.

4) პედაგოგიური საბჭოს წევრების ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა,

5) საბჭოს სხდომა უფლებამოსილია , თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

6) პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით,

არანაკლებ საერთო ხმების მესამედისა.

7) საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება, ფორმდება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 7. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები

პედაგოგიური საბჭო:

- ა) ამტკიცებს სასწავლო გეგმებს;
- ბ) ამტკიცებს ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრის მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიდან პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას.

მუხლი 8. მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები

- 1) მასწავლებელთა , მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები განისაზღვრა საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ” .
- 2) მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები , აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება.
- 3) სკოლაში შექმნილია საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის საშუალება

III. დისციპლინა და საჩივრის განხილვის წესი

მუხლი 9. დისციპლინა და საჩივრის განხილვის წესი

- 1) დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოსწავლეთა

კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2) სკოლის მოსწავლეთა კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს.

3) სასარგებლო შრომის სახით , დირექციის გადაწყვეტილების შესაბამისად.

- სკოლის ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლად მეცადინეობა პედაგოგების მეთვალყურეობის ქვეშ/ განსაზღვრული ვადით/.

4) სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილებას იღებს სკოლის

დირექტორი, ხოლო 5-10 დღემდე ვადით ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას მიიღებს დირექტორი დისციპლინურ კომიტეტთან და პედ. საბჭოსთან შეთანხმებით.

მუხლი 10. დისციპლინური კომიტეტი

1) დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სკოლა ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში წევრების გარდა იქნება შეყვანილი ერთი მშობელი და საშუალო საფეხურის 1 მოსწავლე.

2) კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს , რაც მისთვის ცნობილი გახდება უფლების დარღვევის შესახებ.

3) დირექტორი საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში.

4) საჩივარში უნდა იყოს მითითებული შემდეგი რეკვიზიტები:

ა) განმცხადებლის ვინაობა და მისამართი ;

ბ) უფლების დარღვევის არსი;

გ) მოთხოვნის არსი.

IV. სკოლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება და საბუღალტრო

აღრიცხვა , სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 11. სკოლის ქონება

1) სკოლის ქონებას წარმოადგენს პარტნიორთა მიერ ჩადებული ქონება და სკოლის მიერ შემდეგში შეძენილი მატერიალური ქონება.

მუხლი 12. საქმიანობა , რომელიც საჭიროებს თანხმობას

- 1) სკოლა უფლებამოსილია პარტნიორთა თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
 - ა) უძრავი ქონების შეძენა , გასხვისება და დატვირთვა.
 - ბ) სესხის აღება.
 - გ) თავდებობა
 - დ) სამტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა.

მუხლი 13. სკოლის ფინანსები

- 1) სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით და სწავლის ქირის შემონატანით.
- 2) სკოლას უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები , მათ შორის მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლეთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. მიღებული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.
- 3) სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში.

მუხლი 14. ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა

- 1) სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა, ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს რესურს-ცენტრს.
- 2) დირექტორი_პარტნიორებთან (დამფუძნებლებთან) შეთანხმებით განკარგავს თანხებს.
- 3) დირექტორს შეუძლია ერთი მუხლის სახსრების 10%-ის გადანაწილება მეორე მუხლში, ისე რომ არ გამოიწვიოს მასწავლებელთა ხელფასის შემცირება.

მუხლი 15. სახელმწიფო კონტროლი

- 1) სკოლის კონტროლი შეუძლია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ

განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, ეფექტიანობის, და საფინანსო

ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2) მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის

განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია. სკოლამ მაკონტროლებელ

ორგანოს მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს 15 დღის

ვადაში.

მუხლი 21. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1) სკოლის რეორგანიზაციას და ლიკვიდაციის საკითხს განიხილავს პარტნიორთა

კრება და თხოვნით მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების

სამინისტროს.

მუხლი 22. სკოლის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

1) სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა მოხდება საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან საადმინისტრაციო საქმიანობა.

1) ასეთი ბავშვების არსებობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.